

SCHOMBURG GmbH & Co. KG  
Aquafinstraße 2–8  
D-32760 Detmold (Germany)  
phone + 49-5231-953-00  
fax + 49-5231-953-108  
email export@schomburg.de  
www.schomburg.com



ტექნიკური სპეციფიკაცია

**ASOLIN-WS**

**Art.-No. 2 01246**

### ფასადების გაჟღენთვა

- გამოყენებისთვის მზა
- შეიცავს გამხსნელს
- ჰიდროფობიური
- წყლის რეპელენტი
- მაღალშელწევადი
- არ შრება წებოვან მოპირკეთებამდე
- მდგრადობა ტუტებისა და ულტრაიისფერი გამოსხივებისადმი
- არ ქმნის გარსს (აპკს)

### გამოყენების სფეროები:

გარანტირებული და ეფექტური დაცვა ნესტისგან ფასადების ან გარე ქანობების გაჟღენთვის მეშვეობით. ასევე, შეიძლება გამოყენებული იქნას ოდნავ ნამიან ზედაპირებზე.

### ტექნიკური მონაცემები:

საფუძველი: ოლიგომერული სილაქსანი

ფერი: გამჭვირვალე

სიმკვრივე: დაახლოებით 0.78 გ/ლ.

სუბსტრატის/

გამოყენების ტემპერატურა: +5°C-დან +30°C-მდე

დასუფთავება: სამუშაო იარაღები გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ დაასუფთავეთ ASO-R001 საშუალებით.

მოხმარება:

ბეტონი:

დაახლოებით 250 – 500 მლ/მ<sup>2</sup>

ლესვა:

დაახლოებით 500 – 800 მლ/მ<sup>2</sup>

აირბეტონი:

დაახლოებით 500 – 1000 მლ/მ<sup>2</sup>.

რეკომენდებულია მასალის მოხმარების და ეკონომიურობის განსაზღვრა წინასწარი ტესტების მეშვეობით.

შეფუთვა: 5, 10 და 25 ლ კონტეინერები

შენახვის წესი: გრილი და მშრალი, მინ. 24 თვე გაუხსნელ კონტეინერში. გახსნილი კონტეინერები დროულად გამოიყენეთ.

### **სუბსტრატის მომზადება:**

შესაფერისი სუბსტრატებია: აგურის წყობა, ქვიშა-კირის ბლოკების წყობა, ბეტონის, აირბეტონის, მინერალური ნივთიერებების საფუძვლად დამზადებული სალესები და საღებავები. ნუნებრივი ქვის შემთხვევაში აუცილებელია წინასწარი ცდის ჩატარება. გასაჟღენთი სუბსტრატი შეიძლება იყოს ოდნავ ნამიანი, მზიდი, ღია ტექსტურისი და არ უნდა შეიცავდეს გამაცალკეებელ ნივთიერებებს, როგორცაა, მაგალითად, ზეთი, ცხიმი ან სხვა დამაბინძურებელი ნივთიერებები.

### **პროდუქტის გამოყენების წესი:**

წაუსვით ASOLIN-WS მინიმუმ ორი ფენა, სველი სველზე, გაფრქვევის წესით, ფუნჯით ან დასხმის მეთოდით, მომზადებულ სამშენებლო მასალას. ჩამონადენის შესამცირებლად იმუშავეთ ქვემოდან ზემოთ. მაღალაბსორბირებადი სუბსტრატების შემთხვევაში ASOLIN-WS წაუსვით სრულ გაჟღენთვამდე.

### **რჩევები:**

- ჰიდროფობური ზონის უკან არ უნდა მოხვდეს წყალი, ან მასში ხსნადი მასალები.
- შესაძლოა დამუშავებული სამშენებლო მასალის ფერი უფრო ინტენსიური გახდეს, ამიტომ, წინასწარი ცდები ჩაატარეთ.

- არ გამოიყენოთ მავნე მარილების შემცველ სამშენებლო მასალებზე.
- არ გამოიყენოთ გამხსნელებისადმი მგრძობიარე სამშენებლო მასალებისთვის, როგორცაა ასფალტი, პოლისტიროლი და ა.შ.
- ზონები, რომლებზეც არ უნდა იქნას გამოყენებული ASOLIN-WS, დაიცავით მისი ზემოქმედებისგან. დაფარეთ და დაიცავით მომიჯნავე ზედაპირები და შენობის კომპონენტები, რომლებიც არ უნდა იყოს შეხებაში მოცემულ მასალასთან, მაგალითად: ფანჯრები, კარები, შუშის ზედაპირები და, ასევე, მცენარეები.
- დაიცავით ახლად გაჟღენთილი ზედაპირები წვიმისგან, ვიდრე სრულად არ გამრება (დაახლოებით 6 საათი)

დაიცავით ევროკავშირში მოქმედი ქიმიური პროდუქციის უსაფრთხოების სპეციფიკაცია.

---

წინამდებარე ტექნიკური სპეციფიკაცია ნათარგმნია გერმანული ენიდან და არ ითვალისწინებს ადგილობრივ სამშენებლო კოდექსებს თუ სამართლებრივ მოთხოვნებს. დოკუმენტი გამოყენებული უნდა იქნას პროდუქტის მხოლოდ ზოგადი რეფერენციის სახით. სამართლებრივად სავალდებულოა მხოლოდ უახლესი გერმანული ტექნიკური სპეციფიკაცია ან უახლესი ტექნიკური სპეციფიკაცია ჩვენი ერთ-ერთი უცხოური ფილიალიდან, რომელიც ჩვენს სავაჭრო ტერიტორიაზე მდებარეობს.